სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №17

24 იანვარი 2014 წ.

ბათუმი

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით, `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ს'' ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის I პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულო (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის ირაკლი ჩავლეიშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „**BEST**" მისი დირექტორის – მარინე ამბროლაძის სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი – შემსყიდველს.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება," – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „საქონელი," – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს (კლ.კოდი CPV-72212224 - პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება ვებ-გვერდის რედაქტირებისათვის.) მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის განაახლოს ვებგვერდის დიზაინი, პროგრამულ-ტექნიკური უზრუნველყოფა და საიტზე სტრიმ კოდით უზრუნველყოფა საქოლნის მიწოდების/მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.

2.2 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ,,მიმწოდებელი" თანახმაა თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულოს ვებ-გვერდი განაახლოს და განუთავსოს ,,შემსყიდველს" ინტერნეტ სივრცეში მისი შემდგომი განვითარების და განახლების შესაძლებლობით, ხოლო ,,შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2.3 თუ მომავალში ,,შემსყიდველი'' გადაწყვიტავს ვებ-გვერდის პროგრამულ ან დიზაინერულ ცვლილებებს, აღნიშნული სამუშაოების ღირებულების გადახდა დამატებით მოხდება ორივე მხარის შეთანხმებით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1000 (ათასი) ლარს.

3.2 საქოლნის მიწოდების/მომსახურების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე გადარიცხვით.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქოლნის მიწოდების/მომსახურების მიწოდების შესაბამისი სასაქონლო ზედნადების (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის) საფუძველზე.

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება სასაქონლო ზედნადების (საგადასახადო ანგარიშფაქტურის) წარდგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქოლნის მიწოდების/მომსახურების ჩითვლება მიღებულად სასაქონლო ზედნადების (საგადასახადო ანგარიშფაქტურის) დადასტურების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ წარდგენილი და შემსყიდველის მიერ დადასტურებული სასაქონლო ზედნადები (საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

5.2 საქოლნის მიწოდების/მომსახურების ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ფაქტიურად გაწეული საქოლნის მიწოდების/მომსახურების შემდეგ.

5.3 გამოვლენილი დეფექტების ან ნაკლის აღმოფხვრასთან შესყიდვის ობიექტის მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება საქოლნის მიწოდების/მომსახურების მოწოდების ადგილზე.

5.4 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6. შესასყიდი ობიექტის მიწოდების გარანტია, ვადა და პირობები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულების გათვალისწინებული საქოლნის მიწოდების/მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე 10 კალენდარული დღის განმავლობაში. შემდეგ მისამართზე ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქუჩა №25.

6.2. ,,მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქოლნის მიწოდების/მომსახურების (დიზაინი, სტრუქტურა, მენიუს ელემენტების ფუნქციონირების მექანიზმი, სტრიმ კოდი პირდაპირი ეთერისათვის), არ გამოავლენს დეფექტებს და მაღალორგანიზებულად, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქოლნის მიწოდების/მომსახურების შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6.4 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქოლნის მიწოდების/მომსახურების გამოყენების პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

შემსყიდველი და მიწოდებელი მოქმედებს „ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" სრული დაცვით.

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) საქოლნის მიწოდების/მომსახურების მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

ბ) მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათავლისწინებული საქოლნის მიწოდების/მომსახურების;

გ) მიაწოდოს საქოლნის მიწოდების/მომსახურების სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.1 პუნქტში.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულების შესრულების შემსყიდველის მხრიდან კონტროლს და ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს ქ. ბათუმის საკრებულო აპარატის მასმედიასთან ურთიერთობისა დ აპროტოკოლის განყოფილების უფროსი გურანდა აბულაძე; შემყიდველს უფლება აქვს ხელშკერულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ნებისმიერ დროს ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართველბრივი აქტით მიანიჭოს ქ. ბათუმის საკრებულოს აპარატის სხვა თანამშრომელს, ან/და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ნებისმიერ სხვა პირს. შესმყიდველის ასეთი გადაწყვეტილება არ საჭიროებს მიმწოდებლის არც წინასწარ და არც შემდგომ თანხმობას და იგი

ძალაში შედის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართველბრივი აქტით ან შესაბამისი ხელშკეულებით დადგენილი წესით.

8.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქოლნის მიწოდების/მომსახურების ხარისხის კონტროლს.

83 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4 შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად აწარმოებს კონტროლს საქოლნის მიწოდების/მომსახურების მოწოდების მიმდონარეობაზე, თანახმად საქართველოში მოქმედი ყველა ნორმების, სტანდარტების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემყიდველს გააჩნია უფლება შეაჩეროს საქოლნის მიწოდების/მომსახურების მიღება და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სანქციები.

8.5 მიწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს მხოლოდ ის საქოლნის მიწოდების/მომსახურების რომელთა ხარისხი შეესაბამება საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს, წინაამღდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლება მოსილია გამოიყენის მიმწოდებლის მიმართ პასუხისმგებლობის ღონისძიებები.

9. სტანდარტები

9.1. ხელშეკრულების ფარგლებში საქოლნის მიწოდების/მომსახურების უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პარამეტრებში მითითებულ სტანდარტებს.

10. პირგასამტეხლო ხეშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების (3 დღეზე მეტი პერიოდით საქოლნის მიწოდების/მომსახურების მიუწოდებლობა) შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების 0.5 %-ის ოდენობით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5% (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ამ ხელშეკრულების 10.1. პუნქტით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოსთან ერთად ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10% პროცენტის ოდენობით.

10.5. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელმა უზრუნველყო ამ ხელეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნაწილობრივ შესრულება მაშინ:

ა) შემსყიდველი ღებულობს გადაწყვეტილებას ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ ამ ხელშეკრულების შესაბამისად;

ბ) მიმწოდებელს შესრულებული ვალდებულების ღირებულებაში (ანგარიშწორების თანხაში) დაექვითება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს თანხა;

გ) მიმწოდებელთან ანგარიშსწორება მოხდება ფაქტობრივად შესრულებული ვალდებულების შესაბამისად იმ მოცულობით რაც რჩება ამ პუნქტის „ბ)" ქვეპუნქტის შესაბამისად პირგასამტეხლოსათვის გამოქვითული თანხის გარეშე.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.3 თუ რაიმე წინასწარი გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.4 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფრელ ნაწილად.

11.5 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებულია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.6 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.7 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.8 მხარე ვალდებულია არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის თაობზე

11.9 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12 უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები. დაუშვებელია მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების გადაცემა, თუ ვალდებულებების მიმღები ვერ აკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით მიმწოდებლისათვის დაწესებულ მოთხოვნებს.

13 სუბკონტრაქტორები

13.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშკერულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული სატენდერო წინადადებაში.

13.2 ამ ხელშკერულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემყიდველს.

13.3 ამ ხელშკერულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიწოდებელს ხელშეკრულებით არსებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან.

14 ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:

14.1.1 მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით. დაუშვებელია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა შემსყიდველის თანხმობის გარეშე.

14.1.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულება შეიძლება ცალმხრივად ვადამდე მოიშალოს (შეწყდეს):

ა) მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გადაცილების შემთხვევაში ამ ხელშეკრულების შესაბამისად;

ბ) მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვაალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

15. დაუძლეველი ძალა

15.1 ამ პუნქტის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალის გარემოება" ნიშნავს მხარეთა ნებისა და კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებებს, რომელის არ არის დაკავშირებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლებელია მიუდხედავად მხარეთა გონივრული მცდელობებისა და რომელთაც მიეკუთვნება, მაგრამ არ შემოიფარგლება ამით:

ა. სამხედრო მოქმედება, ბლოკადა, მობილიზაცია, ემბარგო;

ბ. რევოლუცია, სამხედრო ან უკანონო ქმედება, სამოქალაქო ომი;

გ. სტიქიური უბედურობები;

დ. სხვა გარემოებები, რომლებიც საყოველთაოდ აღიარებულია ფორს–მაჟორულ გარემოებად ანდა რომელის ასეთად აღიარებულია ხელისუფლების ორგანოების მიერ.

15.2. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვადებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

15.3. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია რაც შეიძლება სწრაფად შეატყობინოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

15.4 დაუძლეველი ძალის გარემოებების გამო მხარები პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებიან მხოლოდ იმ დროითა და მოცულობით რაც აუცილებელია დაუძლეველი ძალის გარემოებების გამოწვეული პრობლემების მოგვარეისათვის.

15.5 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

15.6 იმ შემთხვევაში თუ მხარეები თანხმდებიან ფორს–მაჟორული გარემოებების გამო ხელშკერულების პირობების შეცვლაზე, მათ შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეთანის გზით. ამასთან ხელშეკრულების პირობების შეცვლა უნდა მოხდეს მხოლოდ იმდროითა და მოცულობით რაც აუცილებელია დაუძლეველის ძალის სიტუაციით გამოწვეული პრობლემების მოგვარებისათვის.

16. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

16.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთებიშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 28 თებერვლის ჩათვლით

18 სხვა პირობვები

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად, რომლის თითო ეგზემპლარი გადაეცემათ ხელშეკრულების მხარეებს.

18.2 სხვა საკითხები რომელიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე ხელშეკრულებით წესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

19. მხარეთა იურიდიული მისამართები და რევიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ. თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულო
ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №25
ს.კ 245576005
ს ს „ლიბერთი ბანკი"-ს
ბ. კ. **LBRTGE22;**
ანგ. № **GE51LB0120134812705002**
(ლარი)
ქ. ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე
ირაკლი ჩავლეიშვილი

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

შპს. **„BEST"**
ქ. ბათუმი ჭავჭავაძის ქ.121 ბ-9
ს.კ 412687249
სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი **BAGAGE22**
ანგ. **GE63BG0000000996935800**

დირექტორი
მარინე ამბროლაძე

(ხელმოწერა)